ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1572155

ნომერი: AR1261531

თარიღი : 28.10.2014

გაცემის თარიღი : 03.11.2014

გაცნობის თარიღი : 03.11.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა თორნიკე ერისთავი , N1 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ავთანდილი მოსიძე პ/ნ 12002000071
- თბილისი კახეთის შეს. N 2

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  რეკონსტრუქცია
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს: თქვენს მიერ არქიტექტურის სამსახურში ცალ–ცალკე რეგისტრაციით არის შემოტანილი დოკუმენტაცია ჭიშკრისა და საჩრდილობლების მოწყობაზე (საჩრდილობლის – AR1261529 ; ჭიშკრის – AR1261531).

საპროექტო ობიექტის ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, რომელიც განთავსებულია ქალაქგეგმარებით კარკასზე, განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონაში და ჭიშკარი ეწყობა მთავარი ქუჩის მხარეს გამომავალ ფასადზე, რომლის ფარგლებშიც განთავსებული ნებისმიერი ობიექტის არქიტექტურული გადაწყვეტა, ესთეტიკური თვალსაზრისით უნდა ხასიათდებოდეს მაღალი მხატვრული მონაცემებით და ასევე, საჩრდილობლები, რომლებიც უნდა მოეწყოს ამ საპროექტო ღობის გასწვრივ ეზოში, რომლებიც ჭიშკრის გაღების შემთხვევაში აღქმადი იქნება ქუჩის მხრიდან, სასურველია საჩრდილობლებისა და ჭიშკრის იერსახე დაიხვეწოს, შესრულდეს უფრო თანამედროვე მასალების გამოყენებით თანამედროვე დიზაინში, ხოლო მოთხოვნის ტექსტში დაკონკრეტდეს საჩრდილობლების ფუნქცია, რისთვის არის განკუთვნილი.

ზემოაღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებით წარმოსადგენია განახლებული ფოტომონტაჟები (ჭიშკრის და საჩრდილობლების) ყველა მასალისა და გაბარიტული ზომის მითითებით.

ასევე, ვინაიდან თქვენს მიერ ატვირთული ორივე განაცხადის საკითხი ეხება ერთი და იმავე ობიექტს, ორივე ობიექტის (ჭიშკრისა და საჩრდილობლების მოწყობის) მასალები ატვირთეთ ერთი განაცხადით და მოთხოვნის ტექსტში ჭიშკრისა და საჩრდილობლების მოწყობის მოთხოვნა მიუთითეთ ერთად.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.